სსიპ ქალაქ თბილისის N136
საჯარო სკოლა

LEPL Tbilisi Public School
№136

0167 თბილისი, გლდანი „ა“ მ/რ
ტელ: (995 32) 265-29-80
ელ-ფოსტა: tbilisi136@mes.gov.ge, www.136skola.ge

"A" b/d Gldani, 0167 Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 265-29-80
e-mail: tbilisi136@mes.gov.ge, www.136skola.ge

MES 4 18 01580110

10/12/2018

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავჯდომარეს
ბ-ნ ნიკა ახალბედაშვილს

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის 2018 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) 2018 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის 2015 წლის 20 იანვრის №1/კ-08 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი ნატო მაისურაძე.

ა) 2018 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 11 (თერთმეტი) განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.
ბ) დაკმაყოფილდა 11 (თერთმეტი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2018 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.
ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.
ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეტანილ არ ყოფილა და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯრო სკოლის 2018 წლის წლიურ ანგარიშს აგრეთვე წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	11 (თერთმეტი)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული	11 (თერთმეტი)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0 (ნული)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი /
გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი / საჯარო სკოლები / ქალაქ თბილისის №136
საჯარო სკოლა
დირექტორი
ბადაშვილი ელზა